

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეონა შათირიშვილი

პრეცენტი ეკილევსიური
სტატუსის გამოსავლის
რისპის ფაქტორები
ბავშვთა ასაკში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის
ავტორეფერატი

თბილისი
2014

ნაშრომი შესრულებულია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტისა და შ.პ.ს. “მ.იაშვილის სახ. ბაგშვთა ცენტრალური საავადმყოფო”-ს ბაზაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნანა ტატიშვილი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მ. იაშვილის სახ. ბაგშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ნეირომეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ოფიციალური ექსპერტები/ოპონენტები:

ნათია ობჟავა – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ს. ხელინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმი ნევროლოგი

სოფიო გასრაძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ნევროლოგიის და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი – დირექტორი სამეცნიერო დარგში; ო. გელაძის სახ. საქართველოს ეპილეფსიასთან ბრძოლის ლიგა – გენერალური მდივანი

დავით ბეჭოვანი – თსსუ-ის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

დისერტაციის დაცვა შედგება 2014 წლის _____
სთ-ზე შ.პ.ს. “მ. იაშვილის სახ. ბაგშვთა ცენტრალური საავადმყოფო”-ს (ქ. თბილისი, ლებლიანას ქ. 2/6) აუადიტორიაში ერთჯერადი დაცვის სადისერტაციო საბჭოს №2 სხდომაზე

ავტორეფერატი დაიგზავნა 2014 წლის _____

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, მედიცინის დოქტორი

თამარ თალაკვაძე

პრობლემის აქტუალობა

კრუნჩხვითი ეპილეფსიური სტატუსი (პშ) წარმოადგენს გადაუდებელი ნევროლოგიის ერთ-ერთ ყველაზე სმირ და რთულ მდგომარეობას, რომელიც არცთუ იშვიათად ასოცირდება უნარშეზღუდულობასა და სიკვდილიანობასთან. მიუხედავად იმისა, რომ პშ-ის გამოსავალი უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად გაუმჯობესდა (აღნიშნული აისხესნება მკურნალობის პროტოკოლებისა და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესებით), უნარშეზღუდულობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია. პშ-ი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა დარიბი რესურსების მქონე ქვეყნებში, სადაც არასწორი სამედიცინო ინტერვენცია, ჰოსპიტალიზაციის დაგვიანება და მწვავე სიმპტომური ეტიოლოგიის მაღალი სიხშირე გადამწყვეტროლს თამაშობს გამოსავალში. განვითარებად ქვეყნებში ჩატარებული კვლევების უმრავლესობა რეტროსპექტულია. პშ-ის გამოსავალს მხოლოდ რამდენიმე პროსპექტული კვლევა ასახავს. სამწუხაროდ, არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია და მტკიცებულება, რომელიც დაეხმარებოდა აღნიშნულ ქვეყნებს მკურნალობის რეკომენდაციების შემუშავებაში. მიუხედავად მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში პშ-ის პათოფიზიოლოგიური მექანიზმების ამოცნობაში წინგადადგმული ნაბიჯებისა, მდგომარეობის კლინიკური ასპექტები და მტკიცებითი მედიცინა მეტად გვეხმარება პშ-ის შემდგომი გამოსავლის პრედიქციაში. მეორე მხრივ, დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა თუ რომელი რისკის ფაქტორი: ასაკი, სქესი, ეტიოლოგია თუ ეტიოლოგიური ჯგუფი, გულერის ხანგრძლივობა, პშ-ის ტიპი, უბ (ელექტროგენცეფალოგრაფია) მონაცემი და ა.შ. გავლენას ახდენს გამოსავალზე. ისევე, როგორც ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს კითხვაზე: პშ-ის შემდგომი სიკვდილიანობა განპირობებულია ძირითადი ეტიოლოგიით თუ თვით პშ-ი განსაზღვრავს გამოსავალს?

საქართველო, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, დაბალი საშუალო შემოსავლების (Low middle income) ქვეყანას მიეკუთვნება, რომელიც იზიარებს საერთო სოციალურ-

ეპონომიკურ პრობლემებს დაბალი რესურსების მქონე ქვეყნებთან. ინდივიდუალური ფაქტორების, განსაკუთრებით, ეტიოლოგიის, მკურნალობის სპეციალიზებული პროტოკოლის და მეორე რიგის ინტრავენური კრუნჩევის საწინააღმდეგო მედიკამენტების არარსებობას (რექტალური დიაზეპამი, ბუკალური მიდაზოლამი, ინტრავენური ლორაზეპამი, ფენიტოინი, ფენობარბიტალი, რომელიც აუცილებელია პშ-ის ეფექტური მკურნალობისთვის) შეუძლია გავლენა იქონიოს პშ-სა და მის გამოსავალზე.

პშ-ის მკურნალობა, რომელიც მიზნად ისახავს კრუნჩევის ხანგრძლივობის შემცირებას, გამომწვევი მიზეზის მკურნალობას და გვერდითი ეფექტების თუ გართულებების მართვას არ არის შესწავლილი.

კვლევის მიზანი

1. პშ-ის შემდგომი უნარშეზღუდულობისა და სიკვდილიანობის რისკის ფაქტორების გამოვლენა;
2. პშ-ის მკურნალობის ეფექტურობის შეფასება და მისი გავლენა პშ-ის ხანგრძლივობასა და ხელოვნური ვენტილაციის საჭიროებაზე.

კვლევის ამოცანები

1. კვლევის ფარგლებში შ.პ.ს. “მ.იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალურ სააგადმყოფო“-ს გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში მომართული პაციენტთაგან, კვლევაში ჩართვისა და გამოთიშვის კრიტერიუმების მიხედვით, პაციენტთა სელექცია;
2. პშ-ით პაციენტთა საასპორტო, ანამნეზური, გულყრის პრეპსპიტალური მართვის, დაავადების მიმდინარეობის, ჰოსპიტალური მკურნალობის, ძირითადი დაავადების თუ მკურნალობის გართულების, პშ-ის შემდგომი გამოსავლის შესახებ ინფორმაციის აღნუსხვა, კვლევისათვის მომზადებულ სპეციალურ კითხვარში;
3. პაციენტთა დიფერენცირება ასაკის, სქესის, გულყრის ტიპის, ხანგრძლივობის, ეტიოლოგიური ჯგუფის, პშ-მდე პათოლოგიური ნევროლოგიური სტატუსის, გან-

მეორებითი პას-ის არსებობის, მკურნალობის ადგვა-
ტურობისა და მკურნალობის დაწყების დროის მი-
ხედვით;

4. პას-ის შემდგომი გამოსავლის (ნორმალური ნეირო-
მოტორული განვითარება, უნარშეზღუდულობა (ახალი
ნევროლოგიური დეფიციტი)), შეფასება ნევროლოგიური
გასინჯვის, საოჯახო ვიდეოების, ბეილის სკრინინგ
ტესტის (Bayley Scales of Infant Development Screening Test),
ასაკისა და განვითარების ეტაპების კითხვარისა (Ages
& Stages Questionnaires – ASQ) და ფუნქციური დამოუკი-
დებლობის სკალის დახმარებით (Functional Independence
Measure (WeeFIM);
5. პას-ის შემდგომი გამოსავლის რისკის ფაქტორების
გამოვლენა;
6. პას-ის პრე/ჰოსპიტალური მკურნალობის გავლენის
შეფასება, გულყრის ხანგრძლივობასა და ხელოვნური
ვენტილაციის საჭიროებაზე.

ნაშრომის მუცნიურული სიახლე

- საქართველოში პირველად ჩატარდა ეპიდემიოლოგიური
კვლევა ფოკუსირებული პედიატრიულ ეპილეფსიურ
სტატუსზე;
- დადგინდა განმეორებითი პას-ისა და პას-მდე არსე-
ბული პათოლოგიური ნევროლოგიური სტატუსის გავ-
ლენის შეფასება პას-ის შემდგომი ახალი ნევროლო-
გიური დეფიციტისა და სიკვდილიანობის არსებობაზე;
- დადგინდა პას-ის როგორც ურგენტული ნევროლო-
გიური მდგომარეობის, მართვის ადეკვატურობის სარ-
წმუნო კავშირი პას-ის ხანგრძლივობასთან;
- დადასტურდა პრეჰოსპიტალურად და ჰოსპიტალში
ბენზოდიაზეპინების გადაჭარბებული გამოყენების სარ-
წმუნო კავშირი ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის
საჭიროებასთან.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია

სადისერტაციო ნაშრომი განხილულ იქნა დაგით
ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ნევროლოგიის

კათედრასა და ა.ლაჭუებიანის სახ. ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის გაფართოებულ სხდომაზე (ოქმი № 21/10/2014). სადისერტაციო მასალები და შედეგები მოხსენებულ იქნა: ეპილეფსიის 29-ე საერთაშორისო კონგრესზე (რომი 2011 წელი); ეპილეფსიასთან ბრძოლის საერთაშორისო ლიგის მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსზე – ეპილეფსიის ფარმაკოლოგიური მკურნალობა (ისრაელი 2013 წელი); დ. ტვილდიანის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციაზე (საქართველო 2013); ეპილეფსიის მე-11 ევროპულ კონგრესზე (სტოკოლმი 2014).

სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 7 სამეცნიერო ნაშრომი, სადაც სრულად არის ასახული დისერტაციის ძირითადი შედეგები და შეესაბამება აკადემიური ხარისხების მინიჭების დებულებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებს.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია შ.კ.ს. “მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმოყოფო”-ს ბაზაზე. დისერტაცია შედგება რვა ნაწილისაგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, მასალა და მეთოდები, საკუთარი გამოკვლევის შედეგები და მათი განხილვა, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს 113 ნაბეჭდ გვერდს, ილუსტრირებულია 16 ცხრილით, 3 სქემით და 21 დიაგრამით. სამეცნიერო ლიტერატურის სია მოიცავს 111 წყაროს.

ნაშრომის შინაარსი

კვლევის მეთოდები

წარმოდგენილ შრომას საფუძვლად უდევს შ.კ.ს. “მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავად-მყოფო”-ს გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში 2007 წლის მარტიდან 2012 წლის მარტამდე მომართული პას-ით დიაგნოსტირებული 48 პაციენტის (ასაკით 1 თვიდან 18 წლამდე) გამოსავლის პროსპექტული კვლევის ანალიზი.

კვლევისთვის პაციენტები შეირჩა ჩართვისა და გამოთიშვის კრიტერიუმების მიხედვით.

ჩართვის კრიტერიუმი: 1. პაციენტები ასაკობრივი ზღვარით – 1 თვიდან 18 წლამდე; 2. პაციენტები კრუნ-ჩევითი გულყრით ან სერიული ეპილეფსიური კრუნჩევითი გულყრებით, რომელთა შორის ცნობიერების აღდგენა არ ხდება ≥ 30 წთ მანძილზე.

გამოთიშვის კრიტერიუმები: 1. კრუნჩევითი გულყრის ხანგრძლივობა < 30 წთ; 2. პაციენტები არასაკმარისი მონაცემით პას-ის ხანგრძლივობაზე; 3. პაციენტები ამს-ით (არაკრუნჩევითი ეპილეფსიური სტატუსი); 4. პაციენტები არაეპილეფსიური კრუნჩევითი გულყრების სტატუსით.

მკურნალობის სტრატეგია: გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში პაციენტებს ჩაუტარდათ მკურნალობა ადაპტირებული გაიდლაინით, რომელიც შეიქმნა ჩრდილოეთ ცენტრალური ლონდონის ეპილეფსიის კავშირის მიერ შექმნილი (მიმოხილვა ჩაუტარდა 2007 და 2010 წელს) და NICE (კლინიკური დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტი) გაიდლაინის მიხედვით. ადაპტირებული გაიდლაინის მიხედვით, მკურნალობა დაყოფილ იქნა ადეპ-ვატურ და არაადეპატურ, დროულ და დაგვიანებულ მკურნალობის სტრატეგიად:

- ადეპვატურ მკურნალობად მიჩნეულ იქნა ბენზოდიაზეპინის არა უმეტეს ორი დოზის გამოყენება. კერძოდ, ერთი დოზის გამოყენება პრეპოსპიტალურად

და/ან ბენზოდიაზეპინის ერთი დოზის გამოყენება ჰოსპიტალში;

- არაადეკვატურ მკურნალობად მიღებულ იქნა ბენზოდიაზეპინის ერთზე მეტი დოზის გამოყენება როგორც პრეპოსპიტალურად, ისე ჰოსპიტალში;
- დროულ მკურნალობად შეფასდა მკურნალობა, როდესაც ის დაწყებულ იქნა გულყრის განვითარებიდან <10 დღის ინტერვალში;
- დაგვიანებულ მკურნალობად შეფასდა მდგომარეობა, როდესაც მკურნალობა დაწყებულ იქნა >10 დღი.

გულყრის ხანგრძლივობა განსაზღვრულ იქნა კლინიკურად გამოვლენილი გულყრის დასაწყისიდან და დაყოფილ იქნა ორ ჯგუფად: 1. 30-60 წთ; 2. >60 წთ.

პქს-ის ეტიოლოგია, Shinnar-ის კლასიფიკაციის მიხედვით, დაყოფილ იქნა ხუთ ეტიოლოგიურ ჯგუფად: იდიოპათური/კრიპტოგენურ; მწვავე სიმპტომურ; მოგვიანებით სიმპტომურ; პროგრესულ ენცეფალოპათურ და ფებრილურ პქს-ად (Shinnar, 2006).

ცალკე გამოვყავით პაციენტები პირველი და განმეორებითი პქს-ით. ასევე პაციენტები პქს-მდე არსებული პათოლოგიური ნეკროლოგიური სტატუსითა და პქს-მდე ნორმალური ნეირომოტორული განვითარების არსებობის მიხედვით.

გამოსავალი შეფასდა პქს-ის განვითარებიდან ერთ თვეში და დაყოფილ იქნა სამ კატეგორიად:

- ნორმალური ნეირომოტორული განვითარება;
- ახალი ნეკროლოგიური დეფიციტი (უნარშეზღუდულობა);
- სიკვდილიანობა.

შედეგები

კვლევის პერიოდში შ.პ.ს. ”მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო”-ს გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტს მომართა პედიატრიული ასაკის 52.000 პაციენტმა, მათგან პაროქსიზმული აშლილობა დაფიქსირდა 1300-ში, ხოლო კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები დააკმაყოფილა 48 (4%) პაციენტმა პქს-ით. შემდგომი კვლევისა და მკურნალობის მიზნით 13 (27%)

პაციენტი გადავიდა კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში, ხოლო 35 (73%) – ნეირომეცნიერების დეპარტამენტში.


პმს-ის განვითარებიდან ერთ თვეში: 1. ნორმალური ნეირომოტორული განვითარება დაფიქსირდა 36 (75%) შემთხვევაში; 2. ახალი ნევროლოგიური დეფიციტი (უნარშეზღუდულობა) 8 (17%) პაციენტში; 3. ლეტალური გამოსავალი 4 (8%) პაციენტში.

სქესი, ასაკი და გამოსავალი. პმს-ით პაციენტთა ასაკი მერყეობდა 2 თვიდან 14 წლამდე (საშუალოდ 5 წ.). უმრავლესობა პაციენტებისა > 2 წ. ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა და შეადგინა 79% (34 პაციენტი). პაციენტთა 21% (14 პაციენტი) < 2 წ. ასაკობრივ ჯგუფს შეესაბამებოდა.

კვლევაში ჩართული პაციენტებთაგან 26 (55%) იყო ვაჟი, ხოლო 22 (45%) ქალი. < 2 წ. ასაკობრივ ჯგუფში სქესობრივი განაწილება თანაბარია მაშინ, როდესაც > 2 წ. მამრობითი სქესი მცირედ დომინირებს. ეტიოლოგიური ჯგუფის მიხედვით, 2 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში დომინირებს მწვავე სიმპტომური ეტიოლოგიური ჯგუფი (36%), სიხშირის მიხედვით მეორე ადგილი პროგრესული ენცეფალოპათიების და ფებრილური პმს-ის ეტიოლოგიურ ჯგუფს უჭირავს (21%).

მიუხედავდ 2 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მწვავე სიმპტომური ეტიოლოგიის შედარებით მომატებული რაოდენობრივი მაჩვენებლისა, ახალი ნევროლოგიური დეფიციტის არსებობა აღენიშნა ერთ (13%) პაციენტს პროგრესული ენცეფალოპათიების ეტიოლოგიური ჯგუფიდან (დრავეს სინდრომი), სადაც ახალი ნევროლოგიური დეფიციტი ჰემიპარეზის სახითაა წარმოდგენილი.

ორი წლის ზემოდ ასაკობრივი ჯგუფი იდიოპათური/კრიპტოგენური ეტიოლოგიური ჯგუფის სიჭარბით გამოირჩევა (44%). აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ახალი ნევროლოგიური დეფიციტის შვიდი (87%) შემთხვევა გამოვლინდა – პროგრესული ენცეფალოპათიების, მწვავე სიმპტომური, მოგვიანებითი სიმპტომური და იდიოპათური/კრიპტოგენური ეტიოლოგიური ჯგუფიდან (იხილეთ დიაგრამა 1).




დიაგრამა 1. ახალი ნევროლოგიური დეფიციტის ხვედრითი წილი ასაკობრივი და უტიოლოგიური ჯგუფის მიხედვით.

სტატისტიკური ანალიზის მიხედვით, პშ-ის შემდგომი ახალი ნევროლოგიური დეფიციტის და სიკვდილიანობის განვითარებაში სქესის ან/და ასაკის პრედიქტორული ბუნება, ვერ იქნა გამოვლენილი.


პშ ტიპისა და ხანგრძლივობის კაგშირი პშ-ის შემდგომ გამოსავალთან. გულყრის ტიპის განსაზღვრა და დიფერენცირება მოხდა პრეპსპიტალურად მშობლის და/ან ექიმის მიერ აღწერილი გულყრის კლინიკური შეფასების მიხედვით. პაციენტების უმრავლესობას მეორადად გენერალიზებული პშ-ი აღენიშნა და შეადგინა 63%. იმისათვის, რომ შეგვეფასებინა პშ-ის შემდგომი გამოსავლის გავლენა გულყრის ხანგრძლივობაზე, აღნიშნული მაჩვენებელი დაგვავით ორ ჯგუფად: 1. 30-60 წთ; 2. 60 წთ.-ზე მეტი ხანგრძლივობა. პშ-ის ხანგრძლივობის მიხედვით, პაციენტების პირველი ჯგუფი 43-ს (89%), მეორე ჯგუფი კი – 5 (11%) პაციენტს მოიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტების პირველ ჯგუფში კლინიდება ახალი ნევროლოგიური დეფიციტის ყველა

შემთხვევა და ლეტალობის ორი ეპიზოდი (ლეტალურად იხილეთ დიაგრამა 2, 3).




დიაგრამა 2. უნარშეზღუდულობა პას-ის ხანგრძლივობის მიხედვით.

- პაციენტთა საერთო რაოდენობა
- მწვავე სიმპტომური
- პროგრესული ენცეფალომათიური
- იდიოპათიური/კრიტიკულური
- მოგვიანებითი სიმპტომური
- უებრილური კეს



დიაგრამა 3. პას-ის ხანგრძლივობის მიხედვით სიკვდილიანობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.



დიაგრამა 4. პშე-ის ხანგრძლივობა წთ-ში.

ჩვენი კვლევის მიხედვით, პშე-ის საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა 50 წთ. (30-180 წთ). პშე-ის ხანგრძლივობის მაქსიმალური დრო დაფიქსირდა სამ პაციენტში: 180 წთ. ვირუსული ენცეფალიტის, 125 წთ. ჩვილობის მიზრაციული ფოკალური ეპილეფსიისა და 110 წთ. ასპირაციის სინდრომის დიაგნოზის მქონე პაციენ-

ტებში. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების მიხედვით, ვერ მოიძებნა სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია გულერის ხანგრძლივობასა და ახალი ნევროლოგიური დეფიციტის განვითარებას შორის (იხილეთ დიაგრამა 4).

პმს სიხშირე და გამოსავალი. პმს-ის პირველი ეპიზოდი გამოვლინდა 37 (77%) პაციენტში, მაშინ როდესაც განმეორებითი პმს-ის ეპიზოდი 11 (23%) პაციენტში. 11 პაციენტიდან (განმეორებითი პმს-ით), პმს-ის შემდგომი ახალი ნევროლოგიური დეფიციტის შეფასება მოხდა მხოლოდ ცხრა პაციენტთან, რადგანაც ორ მათგანში დაფიქსირდა ლეტალური გამოსავალი. შესაბამისად, სტატისტიკურ დამუშავებას დაექვემდებარა ცხრა პაციენტი განმეორებითი პმს-ით და 37 პაციენტი პმს-ის პირველი ეპიზოდით.

პაციენტებში განმეორებითი პმს-ის შემდგომ:

- ახალი ნევროლოგიური დეფიციტი განვითარდა ექვს (67%) შემთხვევაში;
- შეუცვლელი ნევროლოგიური სტატუსი სამ (33%) პაციენტში.


პმს-ის პირველი ეპიზოდის არსებობის პირობებში:

- ახალი ნევროლოგიური დეფიციტი დაფიქსირდა ორ (6%) პაციენტში;
- შეუცვლელი ნევროლოგიური სტატუსი 35 (94%) პაციენტში (იხილეთ დიაგრამა 5).


სტატისტიკური დამუშავების მიხედვით, მიღებულია მალალი კორელაცია განმეორებითი პმს-ის არსებობასა და ახალი ნევროლოგიური დეფიციტის განვითარებას შორის. განმეორებითი პმს-ის არსებობის შემთხვევაში ახალი ნევროლოგიური დეფიციტის განვითარების რისკი 11,67-ჯერ გაიზარდა (Pearson Chi-Square – 17, 88; df – 1; Fisher's Exact Test – p<0.001 RR=11,67 CI (2.81;48.40)).

პმს-მდე არსებული ნევროლოგიური სტატუსის კავშირი გამოსავალთან. პმს-ის განვითარებამდე პათოლოგიური ნევროლოგიური სტატუსი ნანახი იქნა 10 (21%) და შეუცვლელი ნევროლოგიური სტატუსი 38 (79%) პაციენტში. სტატისტიკურ დამუშავებას გამოაკლდა ოთხი პაციენტი ლეტალური გამოსავლით, საიდანაც ორ პაციენტს პმს-მდე აღენიშნა პათოლოგიური ნევროლოგიური სტატუსი. პმს-ის

განვითარებამდე პათოლოგიური ნევროლოგიური სტატუსის არსებობის შემთხვევაში, ახალი ნევროლოგიური დეფიციტი დაფიქსირდა ექვს (75%), ხოლო შეუცვლელი ნევროლოგიური სტატუსი ორ (25%) პაციენტში.



დიაგრამა 5. განმეორებითი პმს-ის გავლენა პმს-ის შემდგომი ახალი ნევროლოგიური დეფიციტის განვითარებაზე.



დიაგრამა 6. პმს-მდე არსებული ნევროლოგიური სტატუსის კავშირი ახალი ნევროლოგიური დეფიციტის განვითარებასთან.

პმს-ის განვითარებამდე ნორმალური ნევროლოგიური სტატუსის არსებობის შემთხვევაში ახალი ნევროლოგიური დეფიციტი განვითარდა ორ (5%) პაციენტში მაშინ, როდესაც შეუცვლელი ნევროლოგიური სტატუსი შენარჩუნდა 34 (95%) მათგანში (იხილეთ დიაგრამა 6). მიღებულია მაღალი კორელაცია პმს-მდე პათოლოგიური ნევროლოგიური სტატუსის არსებობასა და პმს-ის შემდგომ ახალი ნევროლოგიური დეფიციტის განვითარებას შორის. ახალი ნევროლოგიური დეფიციტის განვითარების რისკი 5,8-ჯერ მაღალია პმს-მდე პათოლოგიური ნევროლოგიური სტატუსის განვითარების არსებობის შემთხვევაში (Pearson Chi-Square – 21, 22; df – 1; Fisher's Exact Test – p<0.001), RR=11.67 CI (1.33; 25.32).

ეტიოლოგია და გამოსავალი. ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფ პაციენტთაგან 16 (33%) პაციენტი იდიოპათური/კრიპტოგენურ პმს-ის ეტიოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნა. იდიოპათური/კრიპტოგენური ეტიოლოგიური ჯგუფი წარმოადგენს ჩვენს მიერ დაკვირვების ქვეშ მყოფ პაციენტთა უმრავლესობას. მწვავე სიმპტომური ეტიოლოგიური ჯგუფი ითვლის 11 (23%) პაციენტს. უნდა აღინიშნოს, რომ მწვავე სიმპტომურ ეტიოლოგიურ ჯგუფში ნეიროინფექციები 45%-ით დომინირებს. მოგვიანებითი სიმპტომური ეტიოლოგიური ჯგუფი დაფიქსირდა 6 (12%) პაციენტში. საუკეთესო გამოსავალი უკავშირდება ფებრილურ პმს, რომელიც ითვლის 10 (21%) პაციენტს. პროგრესული ენცეფალოპათიების ეტიოლოგიური ჯგუფი შეადგენს ხუთ (11%) პატიენტს, რომელთაგან სამი ახალი ნევროლოგიური დეფიციტის შემთხვევა და ერთი ლეტალური გამოსავალი ვლინდება. პმს-ის ეტიოლოგიური სტრუქტურა დეტალურად იხილეთ ცხრილში 1, 2, 3, 4.

იდიოპათური/კრიპტოგენური ეტიოლოგიური ჯგუფი N %

პმს-ი როგორც პირველი არაპროვოცირებული კრუნჩხვითი გულყრა – 6 (37.5%)

პანაიოტოპოულოს-ის სინდრომი – 2 (12.5%)

კრიპტოგენური ფოკალური ეპილეფსია – 8 (50%)

ცხრილი 1. იდიოპათური/კრიპტოგენური ჯგუფის ეტიოლოგიური სტრუქტურა ხვედრითი წილის მიხედვით.

მოგვიანებითი სიმპტომური ეტიოლოგიური ჯგუფი – 6 (12%)

ჰიპოქსიურ – იშემიური ენცეფალოპათია – 3 (50%)
 ბაქტერიული მენინგიტის შემდგომი მდგომარეობა – 1 (16.7%)
 ვენტრიკულო-პერიტონეალური შუნგირების შემდგომი
 მდგომარეობა – 1 (16.7%)
 გალენი ვენის გახეთქვის შემდგომი მდგომარეობა – 1 (16.7%)

ცხრილი 2. მოგვიანებით სიმპტომური ჯგუფის ეტიოლოგიური
 სტრუქტურა ხვედრითი წილის მიხედვით.

მწვავე სიმპტომური პას-ის ეტიოლოგიური ჯგუფი – 11(23%)

ვირუსული ენცეფალიტი – 3 (28%)
 ბაქტერიული მენინგიტი – 1 (9%)
 ტუბერკულოზური მენინგიტი – 1 (9%)
 ჰემორაგიული ინსულტი – 2 (18%)
 სინუს თრომბოზი – 1 (9%)
 უკანა შექცევადი ენცეფალოპათია – 1 (9%)
 ანგიეპილეფსიური მედიკამენტის თვითნებური მოხსნა – 1 (9%)
 ასპირაციის სინდრომი – 1 (9%)

ცხრილი 3. მწვავე სიმპტომურ ეტიოლოგიურ ჯგუფში ეტიო-
 ლოგიის ხვედრითი წილი.


პროგრესული ენცეფალოპათიების ეტიოლოგიური ჯგუფი – 5 (11%)

დრავეს სინდრომი – 1 (20%)
 ლენოქს გასტოს სინდრომი – 1 (20%)
 ჩვილობის მიგრაციული ფოკალური ეპილეფსია – 1 (20%)
 თანდაყოლილი გლიკოზილაციის დეფექტი – 1 (20%)
 შარდოვანას ციკლის დეფექტი – 1 (20%)

ცხრილი 3. პროგრესული ენცეფალოპათიების ჯგუფის ეტიო-
 ლოგიური სტრუქტურა ხვედრითი წილის მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული კოპორტის სტატისტიკური დამუ-
 შავების მიხედვით, არსებობს სტატისტიკურად სარწმუნო
 კორელაცია მწვავე სიმპტომურ ეტიოლოგიურ ჯგუფსა და
 პას-ის შემდგომი ახალი ნევროლოგიური დეფიციტის
 განვითარებას შორის. პროგრესული ენცეფალოპათიები
 წარმოადგენს სტატისტიკურად სარწმუნო რისკის ფაქტორს
 პას-ის შემდგომი უნარშეზღუდულობის განვითარები-

სათვის (PearsonChi-Square – 9, 55; df – 1; Fisher'sExactTest – p=0.015). ზემოთ აღწერილი ეტიოლოგიური ჯგუფების კავშირი პშ-ის შემდგომ გამოსავალთან და ეტიოლოგიის მიხედვით ახალი ნევროლოგიური დეფიციტის სქემატური გამოსახვა იხილეთ დიაგრამაზე 7 და ცხრილში 5.




დიაგრამა 7. ეტიოლოგიური ჯგუფების რაოდენობრივი მაჩვენებელი ახალი ნევროლოგიური დეფიციტისა და სიკვდილიანობის მიხედვით.

პშ-ის მკურნალობა და გამოსავალი. ჩვენი კვლევის მონაცემზე დაყრდნობით, საშუალო დრო გულების დაწყებიდან გადაუდებელ დეპარტამენტში მომართვამდე შეადგენს 25 წთ-ს (მერყეობს 15-45 წთ-მდე). პრეპოსპიტალურად 31 (65%) პაციენტს ჩაუტარდა ადეკვატური პრეპოსპიტალური მკურნალობა მაშინ, როდესაც არაადეკვატური პრეპოსპიტალური მკურნალობა განხორციელდა 17 (35%) პაციენტში. კლინიკაში არაადეკვატური მკურნალობა ჩატრარდა 21 (44%), ხოლო ადეკვატური მკურნალობა 27(56%) პაციენტს.

| ეტიოლოგიური ჯგუფი | ეტიოლოგია | ახალი ნეკროლოგიური დეფიციტი |
|-------------------------------|--|-----------------------------------|
| პროგრესული ენცეფალოპათიები | დრავეს სინდრომი | ჰემიპარეზი |
| პროგრესული ენცეფალოპათიები | ლენოქს-გასტოს სინდრომი | განვითარების უნარ-ზევების კარგვა |
| პროგრესული ენცეფალოპათიები | შარდოვანას ციკლის დაფაქტი | განვითარების უნარ-ზევების კარგვა |
| მწვავე სიმპტომური | ვირუსული ენცეფალიტი | განვითარების უნარ-ზევების კარგვა |
| მწვავე სიმპტომური | უკანა შექცევადი ენცეფალოპათია | კოგნიტური დეფიციტი |
| მომგვიანებითი სიმპტომური | ვენტრიკულო-კერიტონიალური შუნტირების შემდგომი მდგრადირება | გენერალიზებული ჰიპოტონია |
| იდიოპათური/ კრიპტოგენური | კრიპტოგენური ფოკალური ეპილეფსია, განვითარების შეფერხება | განვითარების უნარ-ზევების კარგვა |
| მოგვიანებითი სიმპტომური | პიპოქსიურ-იშემიური ენცეფალოპათია | კრანიული ნერვების დაზიანება |

ცხრილი 5. ახალი ნეკროლოგიური დეფიციტის სქემატური გამოსახვა ეტიოლოგიის მიხედვით.


საერთო ჯამში მრავალჯერადი გამოყენება ფიქ-სირდება 30 (63%) პაციენტში. პმს-ის საშუალო ხან-გრძლივობამ აღეკვატური პრეპოსპიტალური მკურნალობის პირობებში (41 წუთი) შეადგინა მნიშვნელოვნად ხანმოკლე დრო არააღეკვატურ პრეპოსპიტალურ ჯგუფთან შედარებით (66 წთ.), განსხვავებით ჰოსპიტალური მიმართულებისგან, სადაც ჯგუფებს შორის პმს-ის ხანგრძლივობის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ვერ იქნა ნანახი. სტატისტიკური ანალიზის მიხედვით აღეკვატური პრეპოსპიტალური მკურნალობა პმს-ის მოკლე ხანგრძლივობის პირდაპირპროპორციულია ($p<0.001$) (ინ-ლეთ დიაგრამა 8).



დიაგრამა 8. ადეპტური პრესკრიტაციური მკურნალობის კავშირი პაციენტთა შემთხვევაში.

ცალკე გამოვყავით პაციენტების ჯგუფი, რომელთაც დასჭირდათ ხელოვნური ვენტილაცია, რათა განგვესაზღვრა, თუ რა გავლენას ახდენდა მკურნალობის სტრატეგია ხელოვნური ვენტილაციის საჭიროებაზე. 13 (27%) პაციენტი გადაყვანილ იქნა კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში სუნთქვითი დეპრესიით. 13-ივე შემთხვევაში დაფიქსირებულია ბენზოდიაზეპინების მრავალჯერადი გამოყენება, რომელთაგან 10 შემთხვევაში პრესკრიტაციურად გამოყენებულია ბენზოდიაზეპინის ერთზე მეტი დოზა. ჰოსპიტალურად ბენზოდიაზეპინის ერთზე მეტი დოზა გამოყენებულია ცხრა პაციენტში. კომბინაციაში (არაადეპტური პრესკრიტაციური და ჰოსპიტალური მართვის პირობებში) ბენზოდიაზეპინი მრავალჯერადი გამოყენებულ იქნა ექვს პაციენტში. ადნიშნული მიმართულებით სტატისტიკური დამუშავების შედეგად, მნიშვნელოვანი ასოციაცია ინახა პრესკრიტაციურ მკურ-

ნალობასა და მექანიკური ვენტილაციის საჭიროებას შორის. კერძოდ, პაციენტებს არაადეკვატური პრეპოსპიტალური მკურნალობის პირობებში მეტი სიხშირით დასჭირდათ მექანიკური ვენტილაცია (Pearson Chi-Square – 5, 32; df – 1; Fisher's Exact Test – p=0.039). იგივე ასოციაცია დაფიქსირდა არაადეკვატურ პოსპიტალურ მკურნალობასა და მექანიკური ვენტილაციის საჭიროებას შორის (Pearson Chi-Square – 4, 7; df – 1; p=0.03).



დიაგრამა 9. დროული მკურნალობის კავშირი პას-ის ხანგრძლივობასთან.

დროული პრეპოსპიტალური მკურნალობა განხორციელდა 25 (52%) პაციენტებში. საშუალო ინტერვალი გულებრივის დაწყებიდან მკურნალობის დაწყებამდე შეადგინა 10წთ (მინიმალური 5 წთ., მაქიმალური 18 წთ.). დროული პრეპოსპიტალური მკურნალობის პირობებში პას-ის ხანგრძლივობა მერყეობდა 30-დან – 70 წუთამდე (საშუალოდ 42 წთ.) მაშინ, როცა დაგვიანებული პრეპოსპიტალური

მართვის პირობებში პმს-ის ხანგრძლივობა მერყეობდა 30 წთ-დან 180 წთ-მდე (საშუალოდ 58 წთ). მიღებულია სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია დროულად დაწყებულ მკურნალობასა და პმს-ის მოკლე ხანგრძლივობას შორის ($p<0.001$) (იხილეთ დიაგრამა 9).

| პაციენტი | ასაგი (წთ) | სქესი | ეტიოლოგია | სიკეთების მიზეზი | პმს-ის ხან- გრძლივობა (წთ) | ინტერვალი |
|----------|------------|--------|--|--|-------------------------------|---|
| 1 | 12 | მამრ. | ჰემორაგიული ინსულტი | ძირითადი დაავადების მიმდინა- რეობა | 30 | არადეეპატური პრეპოსიტალური, ადეკვატური ჰოსპიტალური მკურნალობა. დაგვიანებული პრეპოსიტალური მკურნალობა |
| 2 | 2 | მდედრ. | წვილობის მიგრაციული ფოკალური ეპილეფსია | გულის გაჩერება კრუნჩებითი გულყრის დროს | 120 | არადეეპატური პრეპოსიტალური, ადეკვატური ჰოსპიტალური მკურნალობა. დაგვიანებული პრეპოსიტალური მკურნალობა |
| 3 | 13 | მდედრ. | გალენა ვენის გახეთქვის შემდგომი მდგომარეობა | ძირითადი დაავადების მიმდინა- რეობა | 70 | ადეკვატური პრეპოსიტალური და ჰოსპიტალური მკურნალობა. დაგვიანებული პრეპოსიტალური მკურნალობა |
| 4 | 7 | მამრ. | ენცეფალიტი | ძირითადი დაავადების მიმდინა- რეობა | 35 | ადეკვატური პრეპოსიტალური და ჰოსპიტალური მკურნალობა. დროული პრეპოს- იტალური მკურნალობა |

ცხრილი 6. ლეტალური გამოსავლით პაციენტთა დემო-
გრაფიული და კლინიკური მაჩვენებლები.

პმს-ის შემდგომი სიკვდილიანობა. პმს-ის შემდგომი სიკვდილიანობა დაფიქსირდა 4 (8%) პაციენტში. ორი პაციენტი მწვავე სიმპტომური ეტიოლოგიური ჯგუფიდან (ვირუსული ენცეფალიტისა და პემორაგიული ინსულტის დიაგნოზით), ერთი პაციენტი მოგვიანებითი სიმპტომური ეტიოლოგიური ჯგუფიდან (გალენის ვენის გახეთქვის შემდგომი მდგომარეობით), სადაც სიკვდილის მიზეზს ძირითადი დაავადების მიმდინარეობა წარმოადგენდა და არა თვით პმს-ი. ერთ პაციენტთან, პროგრესული ენცეფალოპათიების ეტიოლოგიური ჯგუფიდან (ჩვილობის მიგრაციული ფოკალური ეპილეფსიით) ლეტალური გამოსავალის მიზეზი პმს-ის დროს გულის გაჩერება გახდა. ლეტალური გამოსავლით პაციენტთა დემოგრაფიული და კლინიკური მაჩვენებლები იხილეთ ცხრილში 6.

სტატისტიკური დამუშავების მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავდა განსაზღვრულიყო ასაკის, სქესის, გულებრივის ხანგრძლივობის, გულყრის ტიპის, განმეორებითი და პმს-მდე არსებული ნევროლოგიური სტატუსის არსებობის გავლენა პმს-ის შემდგომ სიკვდილიანობაზე, რათა შეფასებულიყო მათი პრედიქტორული ბუნება, ვერ იქნა მიღებული სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია.

დასკვნები

1. შესწავლილ პოპულაციაში პმს-ის გამოსავალი ზოგადად კეთილსაიმედოა და არ ცვლის ნევროლოგიურ სტატუსს. კეთილსაიმედო გამოსავლის პრედიქტორებია:
 - პმს-ი როგორც პირველი არაპროცენტული კრუნჩხვითი გულყრა;
 - ფებრილური პმს-ი.
2. ასაკი, სქესი, პმს-ის ტიპი და ხანგრძლივობა გავლენას არ ახდენს პმს-ის შემდგომი უნარშეზღუდულობისა თუ ლეტალობის განვითარებაზე.
3. შესწავლილ პოპულაციაში პმს-ის შემდგომი უნარ-შეზღუდულობის განვითარების დამოუკიდებელი რისკის ფაქტორებია:
 - პმს-მდე არსებული ნევროლოგიური დეფიციტი;
 - განმეორებითი პმს-ი.

4. პმს-ის გამოსავალი სარწმუნოდ არის დამოკიდებული ეტიოლოგიაზე, კერძოდ: პროგრესული ენცეფალო-პათოები უნარშეზღუდულობის მთავარ რისკის ფაქტორს წარმოადგენს.
5. ლეტალურ გამოსავალს შემთხვევათა უმრავლესობაში (75%) განსაზღვრავს ძირითადი დაავადების მიმდინარეობა.
6. პმს-ის დროული და ადეკვატური პრეპოსპიტალური მკურნალობა პმს-ის ხანგრძლივობის შემცირების პირდაპირპროპორციულია.
7. შესწავლილ პოპულაციაში ბენზოდიაზეპინების არაადეკვატური გამოყენების მაჩვენებელი მაღალია და ზრდის ხელოვნური ვენტილაციის გამოყენების საჭიროებას.

პრაქტიკული რეკომენდაციები

1. პმს-ის რისკის ფაქტორების შესახებ ინფორმირება ექიმს დაეხმარება პმს-ის შემდგომი გამოსავლის პროგნოზირებაში.
2. პმს-ის ეტიოლოგიის დროული და ადეკვატური მართვა ხელს შეუწყობს უნარშეზღუდულობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებას.
3. პრეპოსპიტალურადპმს-ის სწორი მართვა შეამცირებს განმეორებითი პმს-ის რაოდენობას და თავიდან აგვაცილებს განმეორებითმის განვითარებას.
4. ქვეყანაში გახანგრძლივებული კრუნჩხვითი გულერის მკურნალობის ჯანდაცვის პრიორიტეტულ სფეროდ ფორმირება, სპეციალიზებული, ადაპტირებული გაიდლაინის შექმნა რომელიც განსაზღვრავს პოსპიტალური მართვის ეტაპებსა და ბენზოდიაზეპინის გამოყენების ჯერადობას მნიშვნელოვნად შეამცირებს სიკვდილიანობისა და უნარშეზღუდულობის შემთხვევებს.
5. ჩვენი და ლიტერატურული მონაცემების შეჯერებით ბუკალური მიდაზოლამის, რეპტალური დიაზეპამის, მეორე რიგის ანტიეპილეფსიური ინტავენური მედიკამენტის რეგისტრირება, ხელს შეუწყობს: გახანგრძლივებული გულერით პოსპიტალში პაციენტების

მიმართვიანობის, პას-ის ხანგრძლივობის, სუნთქვითი დეპრესიის განვითარების, პაციენტთა კმდ-ში გადაყვანის, ხელოვნური ვენტილაციის საჭიროებისა და პოსპიტალიზაციის ხანგრძლივობის შემცირებას.

დისერტაციის ირგვლის გამოქვეყნებული პუბლიკაციების ნუსხა

1. Shatirishvili, T, Tatishvili N, and Kipiani T, Dixaminja N. Short-term outcome of convulsive status epilepticus (CSE) in children: hospital based prospective study. New Frontiers In the research of PhD students. Proceedings of the 10-th International Medical Postgraduate Conference; 2013 November 22; Hradec Kralove, Czech Republic: Astraprinit; 2013. p. 85-89.
2. Shatirishvili, T, Tatishvili N. Lomidze G, Kipiani T. Etiology as predictors of morbidity after convulsive status epilepticus. Georgian Med News. 2014; 6(231):60-2.
3. Shatirishvili, T, Tatishvili N. Lomidze G, Kipiani T. Effect of treatment of convulsive status epilepticus on outcome in children. Georgian Med News. 2014; 6(231):63-7.
4. Shatirishvili, T, Tatishvili N. Timely treatment as a predictor of shorter duration of CSE. Paper presented at: 29th International Epilepsy Congress. Rome 2011.
5. Shatirishvili, T, Kipiani T, Murjikneli T, Dixaminja N. Timely adequately treatment as a predictor of short duration of CSE in children. Paper presented at: 5th International educational course: pharmacological treatment of epilepsy. Isreal; 2013.
6. Shatirishvili, T, Tatishvili N. Timely andappropriate treatment as a predictor as short duration of convulsive status epilepticus (CSE) in children. Proceedings of the First Students and Young Scientists Scientific Conference (IX Aeti Medical School Conference); 2013 June 7-8, 2013; Tblisi. Georgia. Tbilisi: D. Tvildiani Medical University Press; 2013. P46-48.
7. Shatirishvili, T, Tatishvili N, Kipiani, T, Tatishvili, S . Prehospital treatment and outcome of convulsive status epilepticus in children. Paper presented at: 11th European Congress in Epileptology. Stockholm 29th June – 3rd July 2014.

DAVID TVILDIANI MEDICAL UNIVERSITY

Copyright reserved

Teona Shatirishvili

**RISK-FACTORS FOR THE OUTCOME OF
CONVULSIVE STATUS EPILEPTICUS
IN CHILDREN**

**Thesis of Dissertation for the
Academic Degree of PhD in Medicine**

**Tbilisi
2014**

The research was performed at “David Tvildiani Medical University” and M. Iashvili Children’s Central Hospital Ltd.

Research Director:

NANA TATISHVILI Doctor of Medical Sciences, full professor at David Tvildiani Medical University, Head of Neuroscience Department of M. Iashvili Children’s Central Hospital

Official Experts/Opponents:

NATIA OKUJAVA Doctor of Medical Sciences, associated professor at TSMU

